საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 240

05 04 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 20 მარტის №261112 და ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 27 მარტის №291376 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 05 აპრილიდან 2017 წლის 14 აპრილამდე გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის შერჩევის მიზნით.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება, უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მასობრივი კომუნიკაციის ან ჟურნალისტიკის ან საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში;

ბ) ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა;

გ) მსგავს პოზიციაზე ან განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) კარგად ცოდნა.

2.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის სამუშაოს აღწერა:

ა) ცენტრში შემოსულ სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა;

ბ) ცენტრში შემოსულ სატელეფონო ზარზე პასუხის არქონის შემთხვევაში, აბონენტისგან საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მიღება, საჭირო ინფორმაციის მოძიება, აბონენტთან დაკავშირება და მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება;

გ) შემოსულ სატელეფონო ზარზე სათანადო პასუხის გაცემის მიზნით, ცენტრში არსებულ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში, eflow-ში საჭირო ინფორმაციის მოძიება;

დ) საჭირო ინფორმაციის მოძიება წერილის შემსრულებლისგან იმ შემთხვევაში, როდესაც eflow-ში ეს შეუძლებელია;

ე) საჭიროების შემთხვევაში, აბონენტთან დაკავშირება და ინფორმაციის მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიწოდება;

ვ) ყოველი თვის ბოლოს ცენტრში შემოსული სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სამმართველოს უფროსისა და სამართველოს კოორდინატორისთვის;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, სამმართველოს უფროსის დავალებით, სხვა სამუშაოების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) კომუნიკაციის;

ბ) დროის მართვის;

გ) გამართული მეტყველების;

დ) ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის;

ე) გუნდში მუშაობის.

2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

ბ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

3. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;

ბ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სპეციფიკის ცოდნა;

გ) ინგლისური ენის ცოდნა;

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) კარგად ცოდნა.

3.1. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საავტორიზაციო და სააკრედიტაციო პროცესების განხორციელება:

ა.ა) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ადმინისტრირებაში მონაწილეობა.

ა.ბ) ცენტრში შემოსული საავტორიზაციო და სააკრედიტაციო განაცხადების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

ა.გ)საგანმანათლებლო/მაძიებელ დაწესებულებებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების დაგეგმვა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანებათა პროექტების მომზადება და ცენტრის დირექტორისათვის წარდგენა;

ა.დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის განხორციელება;

ა.ე) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის/დასკვნების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა;

ა.ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომის თარიღის შეთანხმება და გამოქვეყნება, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საბჭოს სხდომის შესახებ, საბჭოს წევრებისთვის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიწოდება და დაინტერესებული მხარისათვის საბჭოს გადაწყვეტილების გაცნობის უზრუნველყოფა;

ა.ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებებისა და ოქმების ხელმოწერისა და ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ტრენინგების ჩატარება, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადება;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებული კორესპონდენციის შესწავლა, განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების წლიური ანგარიშების ანალიზი;

ე) საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარების მიზნით უცხო ქვეყნების უფლებამოსილ ინსტიტუტებთან ხელეკრულების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის;

ზ)კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

თ)ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

ი) საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის უფროსის დავალებით, სხვა სამუშაოების შესრულება, რაც დაკავშირებულია სამსახურის ფუნქციების განხორციელებასთან.

3.2. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) საქმიანობის კოორდინაციის;

ბ) დროის ეფექტურად მართვის;

გ) ანალიტიკური აზროვნების;

დ) გუნდში მუშაობის.

3.3. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;

ე) „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ვ) „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება;

ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

4.ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცხელი ხაზის ოპერატორის შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr-jobs@eqe.ge, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ:

ა)ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, სადაც აღნიშნულია კანდიდატის სამუშაო გამოცდილება;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) სამოტივაციო წერილი.

5.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

6.დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდების – www.jobs.ge და www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე